

სოციალ-დემოკრატიული პარტია

# ფრთხილი

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

განცხადება: მიიღება ქართული, რუსული, სომხური და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დღით ასაზე—1 კაპ.; ასო-მთავრების სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცილოთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელო სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографш. ВЪ редакшю газ. „Дрoбнa“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. ხა 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

## სოციალ-დემოკრატიული პარტია

### „დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი. ВЪ Типографш. ВЪ редакшю газеты „Дрoбнa“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., 1/2 წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

### ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი, 1 მარტს.** აღმირალი ბობრტ-ფაშა მიდის დღეს საბერძნეთის ნაპირებზე ოსმალთს ფლოტით. მდინებრლის გერცოგი იზმიდიად მალტის კუნძულზე მიდის დღეს.

**ლონდონი, 2 მარტს.** ბაზეთის „Standard“-ის სიტყვით, ბეზიყის ნავსადგურში მყოფი ინგლისის სამხედრო ხომალდები ღარდნელის წყლისაკენ გაიწვევენ იმ განზრახვით, რომ ბალიზოლში მყოფს ინგლისის ფლოტს შეუერთდნენ და ამნაირად, საჭიროების დროს, აღმირალის ბორნბის ფლოტის დახმარება შეეძლოთ.

**პეტერბურგი, 3 მარტს.** ბუშინ მოვიდნენ პეტერბურგში ლენერალი იგნატიევი და ოსმალთს დანდობილი პირი რეუფ-ფაშა თავის ამალით; რეუფ-ფაშას მიაქვს ხონტქრისაგან ხელმოწერილი მორიგების პირობა რუსეთისა და ოსმალეთისა. საზოგოება დიდის აღტაცებით მოეგება ლენერალ იგნატიევს.

### სამართლმეტ

დღიური

\* \* \* მარტის პირველს ქალაქის რჩევაში სხვათა შორის ხორცის ეჭვობაზედ იყო მოლაპარაკება. ქალაქის გამგეობამ შეადგინა ახალი წესები, რომელიც

ყველა ყასაბმა უნდა აასრულოს; ეს წესები ჯერ ქალაქის პოლიციემისტერმა და მერე უფ. თფილისის ლუბერნატორმა უნდა დაამტკიცოს.

\* \* \* ოსურგეთიდან გვერენ, რომ ერთ იქაურ თავადიშვილის ცოლს ბრძოლის ველზე დაჭრილისა და მოკლულების ღირს ცოლ-შვილის სასარგებლოდ მოუფროვებია 800 მანეთამდინ და გარდაუცია კომიტეტისათვის. ამ ფულიდამ 300 მანეთამდინ ოხის-ძირთან 18 იანვარს მოკლულს ლენერალს შეღემეტიეფს გარდაუცია ხსენებული პირისათვის.

\* \* \* ჩვენს ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია ძავეკასიის ნამესტნიკის განკარგულება, რომლის ძალითაც, თ. ბაგარინის მაგიერად, რომელიც თფილისის ლუბერნატორად არის დანიშნული, შუთაისის ვიცე-ლუბერნატორად დანიშნება აღრინდელი ვიცე-ლუბერნატორი ბაქოსი—ბარონ ბრიუგენი.

\* \* \* დღეს, კვირას, უკანასკნელი წარმოდგენა ჩვენი იტალიური ტრუპისა. ამბობენ, რომ ახალი რუსის ტრუპა (პალმისა) მომავალს აპრილში დაიწყებს თავის წარმოდგენებსა.

\* \* \* თფილისის ბანცხადებანი გეაცნობებენ, რომ თფილისის პოლიციის აფიცერს დაუჭირავეს ავაზაკი ზაქარია სეთურიძე, რომელიც ტატო წულუკიკის შაიკაში იყო და რომელსაც სურამის ვაჭრის უფ. აკოფოვის მოკვლასა და გაცარცვას აბრალებენ.

\* \* \* „სასოფლო ბაზეთის“ უკანასკნელს ნომერში ვკითხულობთ:

„ბორის უფზდის სოფ. მეტეხიდან გეატყობინებენ: აქ ძალიან გაზშირებული იყო ყვავილი და ბევრი ყმაწვილები დახოცა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ახლა აღარ არის, თითქმის სულ გაქრა. შეზდის ნაჩაღნიკის განკარგულებით, ეს ოთხი დღეა, რაც მთელ სოფელს ასუფთავებენ და ჰგვიან, ყველგან კაცები დანიან და რასაც უწმინდურებას ხედვენ, სულ მიწას ქვეშ მარხვენ.“

„ჩვენი სოფლის გზები რომ ნახოთ ახლა, ქალაქის ქუჩები გეგონებათ, დასუფთავებული და დაშნოიანებულია. მის იმისთვის, რასაკვირველია, რომ სწეულება არ გაჩნდეს მეტის უსუფთაობით და როგორმე მომავალი ავათმყოფობა თავიდან ავიცილოთ.“

რალა თქმა უნდა, რომ ეს განკარგუ-

ლება ჩინებული და გოანერული განკარგულება არის ბორის უფზდის უფროსის მხრით, და სასიამოვნო იქნება გავიგოთ, რომ იმის მაგალითს სხვა უფზდების უფროსებმაც წაბადესო.

\* \* \* ბაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია ალექსანდრაპოლიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის შემდეგი სტრიქონებია მოყვანილი:

„სხირებული მოხუცებულია ეს ნათიევი! მთელი ძავეკასია იცნობს იმას, ისეთი მამაცი და მხნეა; განსაკუთრებით კარგათ იცნობენ ლეკები და სხვაზოგადოთ მთიულები. როცა ომი დაიწყო, იმან, თუმცა 60 წლის მოხუცი იყო, მაგრამ შინ ჯდობა ვერ მოითმინა, მოაგროვა ასიოდ კაცი თუშებში, რომელნიც თავის მხნეობით მთელს ძავეკასიაში ძველადგანვე გამოჩენილი არიან, წამოუძღვა ამათ წინ და ჩაერიცხა ჩვენს ჯარში. ბევრი მამაცური საქმე ჩაიდინა ამან თავის თუშებით ამ ომის განმავლობაში და დიდი შემწეობაც მოგვცა.“

### „დროების“ კორრესპონდენცია

აკა-ი ქ მონაგროვი  
ხონი. ხონის ქალაქის მახლობლად გზაზე ერთი უფუნჯრო და უპოლო ქოხი დგას. ამ ქოხში ვილაცა პედაგოგს ყმაწვილები შეუყრია და ვითომ ქართულ წიგნს ასწავლის. შმაწვილები სხედან სკამზე, ქაზე და კუნძზე; ხელში უჭირავეთ ნაბეჭდი და ხელ-ნაწერი ქალღლები. მისაც გინახავს ძველს დროში მღვდლის ოჯახი, ადვილათ წარმოიდგენთ ამ სურათს. მოხიდეკან გამოისინა წერილის ხმით: „შარ ან მან ენ, ჭარ ან მან ენ.“ მახვილის ხმით: „მამასახლისო სოფელი, მამასახლისო სოფელი.“ — შარ ან მან ენ, ჭარ ან მან ენ... —

**მარტვილი.** მ რა დიდი ყაზარმა გაუკეთებიათ აქ! მნახოთ რა არის! ზედ აწერია „მინგრელიის (?) სასულიერო სასწავლებელი“, ბევრლები ჩაუღწეია ვილაცას; რაც თანჯრები ჰქონია, დაუმტვრევიათ და მინის ნამტვრევი აქვე ყრია.  
— მინ იყო ის კივი, ეს რომ დაამტვრია? ვკითხე იქ მდგომს გლენს.  
— ზედამხედველი მ — ძე, ბატონო!  
— რატომ?  
— მიტომ, ბატონო, რომ ეს აკომკები მის დაუკითხავად ბლაღოჩინმა მემ ჩაასმევინა.



— მერმე აკოშკებს რას ერჩოდა?  
 — ნათქვამია: „კაცი ცხენს ვერ მოე-  
 რიო და უნაგირა დაამტვრიო.“

**ძველი სენაპი.** მითობ დიდი წვიმა იყო, როცა მე ძველ-სენაკიდან გავა-  
 ძუნძულე ცხენი ახალ-სენაკს, რომ მი-  
 მესწრო რკინის გზისთვის მუთაისს წა-  
 სასვლელად. დავეწიე გზაზე ერთს გლეხს.

— გამარჯვება შენი!  
 — ღმერთმა გაგიმარჯოს, პარტონი!  
 — სად მიდიხარ?  
 — ახალი-სენაკის, პარტონი.  
 — მაშ ერთად წავიდეთ.  
 — ჰაი იქნება, პარტონი, თუ იკად-  
 რენქ ჩემთან წამოვალს.  
 — რატო არ ვიკადრებ?  
 — ჩინონიკის გეხვარ, პარტონი, და  
 მიტომ მოგახსენე. მე კი გრეხი ვახლავარ.

— აა, პარტონი, მარა, როცა გრე-  
 ხისგან რამეს გამოულის მაშინ.  
 რაივე ვაფიქრო და ისე ვიარეთ  
 ერთ ხანს.

წვიმამ გარდილა და მზემ გამოანათა.  
 აჲ დროს გლეხმა წაიდუღუნა:

— დილოცა შენი სახელო, სასამარ-  
 თიანი შენა ხარ.  
 — მიზედ ამბობ მკაცრ ვკითხე მე.  
 — ცაზე მოგახსენე, პარტონი!  
 — როგორ?

— ცა, პარტონი, სამართიანია: რო-  
 ცა წვიმდა, თქვენ რომ დიდი კოჩი ბრძა-  
 ნდებით და მე რომ გრეხი ვახლავარ,  
 ორივეს ერთად გვასველებდა. აქ რომ  
 ჩვენი ღრუბენატორიც რომ ყოფილი-  
 ყო, იმასაც ჩვენსავით დასველებდა. რო-  
 ცა ცა ბზეს გამოაჩენს, პარტონი, ღრუ-  
 ბერნატორსაც, თქვენცა და მეც ერთ-  
 ნაირად გავაშრობს გავვათბობს. ცა, პარ-  
 ტონი, სამართიანია, კოჩები ვართ უა-  
 მართო, თორემ...

— აკმა რა დაგიშავა?  
 — აი, ღორონთი გაშავენს ჩვენს პი-  
 რისთავს!

— როგორ რა დაგიშავა, პარტონი; აგერ  
 ექვსი წელიწადია მამასარხნად ვარ და  
 ვხლა ტყურათ გამოცკლას მიპირენს.

— შენ მამასახლისი ხარ?  
 — აა, პარტონი.  
 — მითი მითხარი, მამასახლისები  
 რათ შერებით უსამართლობას?  
 — რას, პარტონი?  
 — როგორ რას? მთე გინდ სხვას თა-  
 ვი დგანებოთ; მაგრა გლეხების მელი-  
 ცა როგორ გამოგყავთ. მდიდარს და ხუ-  
 თი ექვსი ვაქცაები რომ არის, იმისთანა  
 ოჯახებს ქრთამს ართმევთ და სტოებთ;  
 ღარიბი და საწყალი ოჯახიდან კი გაგ-  
 ყავსთ მილიციონრები.

— მა რა ჩემი ბრალია, პარტონი, მე  
 კუდი ვარ და ტანი სხვა არის..  
 — მთე კუდი ხარ, რათ გიმორებს ტანი?  
 — შურო არხალი და სასარგებლო  
 კუდი უნდა გაიკეთოს, პარტონი...  
**ლაილაში.**— მის ეძებ, კაცო!

— უხედის ნაჩაღნიკს ვეძებ, ქვე შე-  
 ნი ჭირიმი.

— რათ გინდა?  
 — საქმე მაქვს.  
 — მაინც რა საქმე?

— ბატონო, შენი ჭირიმი, ვილაცა  
 ოჯახ დაქველმა ნახევარი ჭური (ქვე-  
 ვრი) ღვინო მომპარა. პოლიციაში გა-  
 მოვაცხადე. პოლიციამ გამატანა პრის-  
 ტავი ს. მ. შესაშოშვებლად. პრისტავი,  
 ჩემი ცოდვის სამსე, ქვე შევიდა მარან-  
 ში, ჩაიკეტა კარები, მოდგა დანარჩენ  
 ღვინოს და აგერ მესამე დღეა სვამს და  
 სვამს, ქვე ვერაფრით მოვაშორე ჭურის  
 თავს ის ოჯახ-დაქვეული... რაც დამე-  
 კარგა, დამეკარგა, და რაც დამჩხა, ისიც  
 პრისტავმა შესვა. ნეტავი სულ არ გა-  
 მემხილა იმ ღვინოს დეკარგვა! მწლა,  
 ბატონო, უხედის ნაჩაღნიკს მინდა შე-  
 ვებეწო, რომ როგორმე ის პრისტავი  
 წამოიყვანოს, თორემ მარანი გამიუწ-  
 მინდურა და შიგ სალოცავი ჭურები მაქვს.  
 ზღვები, მარაოლა, ნაჩაღნიკთან მივი-  
 და და მოახსენა.

— ბატონო, მმართველობა მთვრა-  
 ლია, მომამორე შენი ჭირიმი!

მუთათური

1 მარტი

**ზამო-იხმრეთი, 1 მარტს.** ჩვენი ხალ-  
 ხის ცხოვრება თან-და-თან უკულმა მი-  
 დის ყოველის მხრით. ასს კომლში, ამ  
 ათის წლის წინეთ, ნახავდით ათს ღარიბს  
 და სხვა შეძლებული იყო; ყველას ბლო-  
 მათ ჰქონდათ სასმელ-საჭმელი; დღეს კი  
 ასს გლეხში ათა შეძლებულია და და-  
 ნარჩენი ღარიბი.

სადღა არის ის ხალხობა, ის მხიარუ-  
 ლობა და მიწვევ-მოწვევა, რასაც წინეთ  
 ვხედავდით ჩვენში? წინეთ უღვაშიანი კაცი  
 ბურთს თამაშობდა ხოლმე; დღეს ათი  
 წლის ბავში შრომისაგან წელშია მოხ-  
 რილი. სად არის მისთვის მხიარულების  
 დრო? ის ნიდაგ ფიქრობს გადასახადების  
 ფულის შოვნაზე, მაგრამ რომელ ერთ  
 გაუქლოს. ბევრი იფიქრა სახელმწიფო  
 გარდასახადის ფულის შოვნაზე და ვერა-  
 ფერი ვერ მოიფიქრა. არ შეიძლება, რომ  
 ქვაბი და მისი ჩამოსაკიდებელი არ და-  
 იხსნას იასაულისაგან; იღებს ვალათ თუ-  
 მანს და თუქანში მანეთზე ჩაუტბილს  
 აძლევს სარკებელს, ანუ ჩაუთს ორ აბახათ  
 ჰყიდის შემოდგომის მოსავალზე; შემოდ-  
 გომაზე ტბილა, იმდენი მოუვიდა, რომ  
 ეს ვალი გაისტუმრა. ღარიბ მარტო ქა-  
 ქა. ახანამ ამ ქაქაზე ბლომით წყალს და  
 ინახავს თავისთვის იქნება ამ წყალ-ღვი-  
 ნით ცავე მჭადის ლუქა გაღატანოს  
 ხოლმე ყელში ხანდისხან..

აჲლა მოღის იასაულო და უძახის  
 „ჰეი! ჰეი! დამხადე მწერლის და იასაუ-  
 ლების ფულები და უჩიტლისა!“

მითო საზოგადოებაში მწერლის ფუ-  
 ლია 150—200 მან., იასაულების 120  
 —190 მანეთადმდე და უჩიტლას 200—  
 250 მ. შევლას ამათ სახელმწიფო სახ-  
 ლი და შეშა აქვსთ და მწერალს და  
 იასაულების ხარჯაც. მწერლებს და ია-  
 საულებს მარტო ფული აქვსთ დანიშნუ-

ლი, მაგრამ ცხოვრობენ სახე-საქმე-  
 საგან მოტინილი ხარჯით. სრულყოფილ  
 დაიარებიან, გლეხებში არიან და რათ  
 უნდათ მაშინ თავის ხარჯი და თუ კან-  
 ცელარიაში არიან და ვისმეს საქმეს არ-  
 ჩევენ, მაშინ ხარჯი იმისია, ვის საქმესაც  
 არჩევენ სუდიები.

ჩვენი უკოლების საქმეს კი ნუ-  
 ლარი იკითხაეთ. უკოლებში ზოგან სრულე-  
 ბით არ არის შაგირდები, მაგრამ მაინც  
 ართმევენ გლეხებს მასწავლებლის ჯამა-  
 გირს და აძლევენ ტყუილა-უბრალოდ.  
 ზოგან მასწავლებელს სხვა-და-სხვა და-  
 პირებით მოუტყუებია სამი-ოთხი შაგირ-  
 დი, რომელსაც ვგონებ ქირასაც აძლევს  
 უკოლაში სიარულისათვის და ამით საქ-  
 მეს იკეთებს და ჯამაგირს იღებს. ამის-  
 თანა უსარგებლო ხარჯი არ დადებია  
 ჯერ, საზოგადოებას როგორც დაედგა  
 მათ უკოლებისა. შევლა აქაურ უკოლებ-  
 ში სამ-ოთხ უკოლას ნახავ ხეირიანს,  
 მაგრამ ან ისინი რითი არიან ხეირიან-  
 ბი? მით, რომ შაგირდებს დაუსწავლია  
 რუსულათ ლოცვები; იტყვიან რუსულათ  
 „სპასი ლოსპოდი,“ ივლოგებენ რუსუ-  
 ლათ. „ნივა მია ნივა!“ სხვა რაღა საჭი-  
 რია!...

ზოგან სოფლის უკოლებში სოფლის  
 მასწავლებელნი ერთგულად ასწავლიან და  
 შაგირდებიც მუყაითათ დადიან და ერთ-  
 გულათ სწავლობენ; ჰგონიან საწყლებს  
 რაიმე გამოუთ ბოლოს დროს „ნივა  
 მოია, ნივა-ს“ ვალობიდაშ მამოლას მესამე  
 წელიწადზე შაგირდი უკოლიდამ. ბევრებს  
 მამა მუშაობაზე და მისი ნასწავლი „ნი-  
 ვა მოია, ნივა“ და „სპასი ლოსპოდი“  
 სულ ავიწყდება. ზღვები უყურებენ  
 მას როგორც ნასწავლ კაცს, მაგრამ  
 იმან სრულებით არაფერი იცის.

სურათებზე უჩვენებიათ—თუ როგორ  
 ცხოვრობენ ფრანკლები. უნდა ამ  
 ჩვენს ნასწავლისაც კარგად ჩაიცვას და  
 იცხოვროს; მაგრამ არა გააჩნია—რა.  
 სოფელში შრომა და მუშაობა ეხარება  
 ნასწავლს. მეტი გზა არ არის, ცხენების  
 ქურდობას უნდა მიჰყოს ხელი და ამას  
 კი მალე სწავლობენ, გაქვთ ღვთის  
 წყალობა!...

**სამართალი**

**ანდრეჰესკის ძალის სამე**

სხდომა მეხუთე  
 4 მარტს

სხდომა დაიწყო შუადღეზე.

პროკურორის სიტყვა. მთელი  
 საზოგადოების ყურადღება თავიდანვე იყო  
 ამ საქმეზე მიქცეული. ანდრეჰესკის ქა-  
 ლის მკვლელობას ისეთი ხასიათი ჰქონ-  
 და, ისეთი საიდუმლოების ფარდით იყო  
 გარემოცული, რომ ძალა-უნებურად აა-  
 ლაპარაკი არათუ მარტო მთელი, არა-  
 მედ მთელი ქვეყანა. მიქვენ გეხსიამებათ,  
 უფალნო მოსამართლენო, რომ ყველა  
 განხეთქში თითქმის მუდამ დღე იწერე-  
 ბოდა ამ დროს მოწინავე სტატიები, ფე-



ლიტონები, შენიშნეები და ყველა წერამალი გარემოებადა ხმები ამ შესანიშნავი მკვლევლობის თაობაზე და საზოგადოება ყველა ამას მოუთმენელის ინტერესით ყურს უგდებდა და ჰკითხულობდა.

ღვსაც ისეთისავე ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს საზოგადოება ამ საქმესა, როგორც მაშინ. ღვს მოვლის ის თქვენგან, უფალნო მოსამართლენო, რომ თქვენც ყურადღებით, გულდამჯღარად განიხილავთ და თქვენს განჩინებას, მართალს, მიუღვამელს განჩინებას გამოუცხადებთ.

მოგაგონებთ მოკლეთ—როგორ მოხდა ეს საქმე: მოგახსენებთ, რომ დედა ქალი ანდრეევსკები ჩამოვიდნენ აქ მდენი დამ იმ მამულების გასაყოფად, რომელიც ნინო ანდრეევსკისას ჰქონდა სწორით თავის დასთან კ-ნა მღენე შარვაშიძესთან. ამ დროსვე ჩამოვიდნენ მთელი სი თ. ბ. შარვაშიძე და იმის ვეჟალი თ. ღ. ანაბაძე. ანდრეევსკისამ თავის მხრით უფ. ა. მნიკოვი და ნინო მამულების გაყოფის დროს. ამათ გაჰყვეს მამულები. როგორც ეტყობოდა, ორივე მხარე—ბ. შარვაშიძე და ნინო ანდრეევსკისა ორივე კმაყოფილნი დარჩნენ ამ გაყოფით; ეს იქიდან სჩანს, რომ, თუმცა ანდრეევსკისამ შეაძლია თ. ბ. შარვაშიძეს თავის წილი, მაგრამ ეს არ დათანხმდა გაცვლაზე.

ამის შემდეგ თ. ბ. შარვაშიძე წავიდა მთუისში და ანდრეევსკები სასტუმროდგან გადავიდნენ ბ. შარვაშიძის ცოლის სახლში, მტკვრის ნაპირას.

აი ამ დროს მოხდა აქ ის საშინელი შემთხვევა, რომელზედაც დღეს არის სჯა. 22 ივლისს, ნასადილევს, ანდრეევსკები იყვნენ კ-ნა ბ. მთმანოვისას. საღამოს დაბრუნდნენ. ღვდის ჩვენებით იმის ქალმა საღამოს 9—10 საათზე გამოიცილა კაბა, გავიდა გარეთ ბაღში და მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა. მეორე დღეს ის ნახეს დამღრჩვალი შარვაშიში, მთილისიდან 40 ვერსზედ.

თქვენ იცით, უფალნო მოსამართლენო, გარემოება ამ საქმისა. ამ გარემოებიდან ცხადათ სჩანს, პირველად ის, რომ ნინო ანდრეევსკისას არ შეეძლო იმ დროს იმ ალაგას (თავის სახლის წინ) წყალში ბანაობა და მაშასადამე თავისით არ დამღრჩვალა. მეორე, რომ ყველა ნიშნები გვიჩვენებენ, რომ ის დამღრჩვალი არ არის და მესამე, რომ იმის მოკვლა შეეძლოთ მხოლოდ შინაურებს.

შანვიხლოთ თითოეული ეს გარემოება: იმ ალაგას და იმ დროს ანდრეევსკისას არ შეეძლო ბანაობა იმიტომ, რომ იქ ისეთი დაღმართი ადგილი, რომ არა თუ ღამით, დღისითაც ჩასვლა გაუჭირდება იქ აღამიანს. ი ადგილია, მულამ სველია, რადგან ზემოდამ წყალი მოწვეთს; და კაბა და წაღები ნინო ანდრეევსკისა კი, რომელიც იმ ღამესვე ნახეს იქ, სრულებით მშრალი იყო. აშკარაა, რომ იქ არ ჩასულა ქალი, არამედ მერე დაუღვათ იქ. ამას გარდა მოწვეების ჩვენებით აღმოჩნდა, რომ

ნინო ანდრეევსკისა ერთობ მოარცხვი ქალი იყო, თავის დედასთანაც არ განხილდა ხოლომე ის არასოდეს კაბასაო, და რა საფიქრებელია, რომ მთვარიან ღამეში წყლის პირას განხილდა ტანისამოსს, როდესაც მეორე ნაპირზე ბანაობდნენ! ნინო ანდრეევსკისას რამდენჯერმე ეთქვა წინათაც! რომ ამისთანა მღვრიე წყალში ბანაობა როგორ შეიძლებაო.

მეორე გარემოება, ე. ი. ის, რომ ნინო ანდრეევსკისა ძალით მოკლულია—ამას ყველაზე უფრო აშკარად ექამების დამოწმება და ჩვენება ამტკიცებს. ექიმები, რომელთაც გასჭრეს შარვაშიშიდამ მოტანილი გვაი ბ. ანდრეევსკისა ერთ ხმად ამტკიცებენ, რომ ის ჯერ მოკლულია, ჯერ ისე წაუღრჩვიათ და მერე ჩაუკდიათ წყალშიო. ია რომ დამღრჩვალი არ არის, ამასვე ამტკიცებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მიცვალებული ნახეს შარვაშიში, მთილისიდან 40 ვერსზე მეორე დღეს, დღის 8 საათამდინ, ე. ი. 7—8 საათის განმავლობაში მიცვალებული 40 ვერსის მანძილზე გაუტანია წყალს. მენავეების და მეთევზეების ჩვენებიდან სჩანს, რომ ასე შორს დამღრჩვალ ასე ცოტა ხნის განმავლობაში თავის ღღეში ვერ წაიღებს მტკვარი; მთილისში დამღრჩვალს, იმათი სიტყვით, შარვაშიში მხოლოდ მეორე და მესამე დღესი ტანს წყალი, და ხან უფრო გვიანაც, და არა ასე მალე.

მესამე გარემოება, ის, რომ ანდრეევსკისა მხოლოდ შინაურებისაგან არის მოკლული. ამის დამტკიცება ადვილია: პირველად იმათ, რომ გარეშე კაცს არავის არ ჰქონია იმასთან ისეთი მტრობა, რომ ვისმეს შესწამოს კაცმა იმის მოკვლა; და კიდევ რომ ჰქონოდა, ამათ სახლში ისეთი ძაღლები იყო, რომ, უეჭველია, გარეშე კაცი შემოსვლას ვერ გაბედავდა.

ახლა უნდა ვიკითხოთ—ვინ არის ამ საქმეში დამნაშავე? ვის უნდა დაბრალდეს ანდრეევსკის მკვლა?

შველაზე პირველად უნდა ვსთქვა, რომ იმ დღეს რა დროსაც ეს შემთხვევა მოხდა, ღ. ჩქოტუას ყოფა-ქცევა ყველას გასაკვირველად მიანდა და ყველამ რაღაც უჩვეულებრივო მღულოვარება და შთაბეჭდილება შენიშნა იმას. მართი ის, რომ ყველაზე პირველად ის მივარდა იმ ალაგას, საცა ტანისამოსი იყო ანდრეევსკისა დადებული წყლის პირას და აღმოაჩინა ეს ტანისამოსი. რაღა თქმა უნდა, რომ იმან ადრევე იცოდა—სად იღვა ის ტანისამოსი; იცოდა, რომ ტანისამოსი განგებ იყო იქ დადებული იმ განზრახვით, რომ ქვეყნას თვალი აუხვიოს მკვლელობაზე და ყველას აფიქრებინოს, რომ ვითომ ანდრეევსკისა იქ ბანაობდა და უბედური შემთხვევით დაიღრჩვიაო. მეორედ, გამოძიებამ და მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ ღ. ჩქოტუამ იმ დღეს მოაკვლევინა ერთი ძაღლი, რომელიც უფრო ავი იყო და რომელიც სრულიადც გაცოფიანებული არ ყოფილა, და დანარჩენი ძაღლები კი დაამწყვდევინა, რასაკვირველია, იმ განზრახ-

ვით, რომ, როცა გარეშე ვინმე მოვიდა აქ საქმეში მონაწილეობაში, მათ ლებს არ შეეცოთ.

ღ. ჩქოტუა ამბობს, რომ იმ საღამოს ის იყო ქალაქში, რომ 8 საათზე გამოვიდა შინიდან, იყო ანდრია ძაპანაძესთან, რომლისაგანაც თავის ძველი შარვალი უნდა წამოეღო, შემდეგ ჩარახჩიანის მაღაზიაში ყელსახვევი იყდა, მერე შევიარა აფთიაქში, იყდა იქ ქინა და მაზოლის წამალი და 10-ს საათზე შინ დაბრუნდა. შველა ამას ბრალდებულთ ჩქოტუა იმ სახით ამბობს, რომ ჰსურს თავის alibi დაამტკიცოს, ე. ი. რომ ანდრეევსკის მოკვლის ან დაღრჩობის დროს შინ არ ყოფილა, მაგრამ არც ერთი ეს იმის ნაამბობი არ გამართლდა.

მე არ მინდა ვისარგებლო ბრალდებულთ, განსამტყუნებლად იმ ჩვენებით რომელიც პოლიციის აფიცრისა და ადინდელი პოლიცემისტრის ბელაკის წინაშე წარმომოსთქეს იკანე მკელაძემ და ზურაბ შარბიძემ, აგრეთვე პეტრე ბაბისონიამ, რომელნიც გატყდნენ ამ საქმეში და პირ-და-პირ ღ. ჩქოტუას მიუთითეს, როგორც ამ საქმის მოთავე პირს. არ მინდა ვისარგებლო ამათა გატყებით, რადგან ანუამისოთაც საქმაო ფაქტები არის ბრალდებულთ ჩქოტუებისა და პეტრე ბაბისონის დანაშაულობის დასამტკიცებლად.

ამ ნაირად, ცაადი და დაუზღვევლია სამი გარემოება: პირველი, რომ ნინო ანდრეევსკისას არ უბანია; მეორე, რომ ის ძალით მოკლულია და მერე ჩადებულთ წყალში და მესამეც ის, რომ იმას მოკლავდნენ მხოლოდ შინაურები და ამ შინაურებში მოთავეა ეკუთვნის ღ. ჩქოტუას და ამის დამმარებლად იყვნენ: ჩქოტუა და პეტრე ბაბისონია, რომელიც ბრალდებულთ სკამზე სხედან ახლა, და აგრეთვე სხვებიც.

აჩვითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის იმას, თუ რასთვის, რა ინტერესისთვის მოკლეს ის ბრალდებულთა. საზოგადოებაში სხვა-და-სხვა მიზეზებს ამბობდნენ, სხვათა შორის, თ. ბ. შარვაშიძეს მიაწერდნენ მონაწილეობას; მაგრამ, ვიმეორებ, ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის მხოლოდ ის არის საკმაო, რომ ამათ მოკლეს ანდრეევსკისა.

**მეორე შინაგანი სმსხისა ტირაში, რომელიც მოხდა 1 მარტს პეტერბურღში. მოგება ერთგო შემდეგ სერიებსა და ბილეთებს:**

№ ბილეთისა	№ სერიისა	ჯამი მოგებისა
8,703 . . . . .	24 . . . . .	200,000
1,798 . . . . .	21 . . . . .	75,000
3,982 . . . . .	8 . . . . .	40,000
6,400 . . . . .	46 . . . . .	25,000
6,888 . . . . .	30 . . . . .	10,000
19,398 . . . . .	37 . . . . .	
12,692 . . . . .	38 . . . . .	8,000
11,814 . . . . .	43 . . . . .	
16,923 . . . . .	39 . . . . .	8,000
10,173 . . . . .	13 . . . . .	
1,107 . . . . .	4 . . . . .	
4,643 . . . . .	32 . . . . .	

7,233	49	5,000
13,108	26	
10,246	50	
7,214	37	
10,175	25	
7,358	9	
3,525	41	
15,652	42	
16,429	25	
1,158	39	
34	33	
14,818	13	
15,504	40	
9,884	21	
5,128	30	
14,232	31	
5,993	9	
1,611	13	
13,426	33	1,000
587	12	
1,084	3	
14,199	6	
16,633	21	
17,679	40	
1,435	34	
16,874	43	
6,473	49	
7,095	44	

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

მრეწვის მედანზე, წინამძღვარების სახლებში ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღის 10 საათამდე.

მ რ შ ა ბ ა თ ს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის, თამამშვილი—თვალის ექიმი.

მ თ ს შ ა ბ თ ს: ლისიცივი—შინაგანი ავთმ-

ყოფ., შიურჩიანცი—ვენერიული ავთმყოფობისათვის,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასატუროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის და ხირურგიულისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის, შიურჩიანცი—ყურის და ხირურგიულ ავთმყოფობისათვის და თამამშვილი—თვალის ავთმყოფობისათვის.

ბანსხალბანის თხსლები

ბოსტანისა და ყვავილეებისა, ახლად მიღებული სამზღვარ გარეთილად ისპილბა ქვეკასიის სამეურნეო საზოგადოების კამისიონერთან ლარშმისთან, ბოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11. (10-1)

ვისაც ჰსურს იყილოს ხმელი საშენებელი ტყე, ფიჭვისა და ნაძვის, ფიჭვები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუჭყიცივის სადგომში, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ვრაც გამოვაცხადო, რომ რიგ-რიგზე შეუსრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. შაკრების მოტანა ამ წლის 1 მაისიდან დაიწყება. (3-1)

იყიდება

შ. მართანოვის წიგნის მალაზიაში. ეშმაკის ხარო

მდაბიური ამბავი ალ. სა. მესხივისა.

გამოცემული ზაქარია ზიჭინაძისაგან. უსანი ერთი ზაჭი

Желають арендовать несколько десятков десятин пахатной земли близ Поти-Тифл. желѣзной дороги.

Адресъ Куки: Реутовская улица № 39 (3-2)

სალაშური.

ანუ ლექსთა კრება.

გამოცემული ზ. ზიჭინაძისი.

უსანი ორი ზაჭი.

თფილისში მ. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

გამოვიდა და ისყიდება

„სოლი ვიტირო, თუ ული?“

კომედია ალ. თუთაევისა ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მალაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ტუზმანაშვილთან, ქარელს—დავით მერქიაშვილთან, ხაშურისა და ბეჟაბუბნის ბუჭეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ მკანეზოვთან და სვ. სერვაძესთან ფოთში—მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მსწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომიგევთან და თვითონ ავტორთან.

აბრაშუმის ზიის თხსლი (კვერცხი)

იტალიის მოღვმისა, სალი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. შირსკის პირ-და-პირ).

უსანი თითო მისხლისა მქვისი ზაჭი

ერთს კაცს 10-15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

სტუდენტს ჰსურს აქლიოს ურკავი დაბალ კლასებში მოსამზადებლად.

აღრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

რკ. ზზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მტი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 27 თებერ.		თფილისი, 4 მარტი.	
მცხეთა	10 11	6 27	- 68 -	38	ქუთაისს, უთს . . .	1 -	ერთი ანგოი ღირს:		ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	150
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ღუშეთს, სიღნაღს	50 -	ლონდონში 23 ჰენსი.		ფქვილი წითელი . . .	135
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2 -	პარიჟში 271 სანტიმი.	78 -	ქერი ფული . . .	135
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშეას . . .	2 -	მსკონტი(სარგებლისფასი)	62 -	ბამბა მრეწვისა, ფუთი . . .	680
ქვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3 -	ბანკის ბილეთი 5%	71 -	— ამერიკისა, ფუთი . . .	740
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებინა(პირველი ს. ბ.)	96 50	ბაპენტლი ბამბა ფუთი.	10 -
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში. . . . .	3 75	მოგებინა (მეორე ხესხი)	237 50	მატული თფურთი ფთ.	820
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ფოშა		ბირაოს ფურკლები:	234 -	— თარაქამისა ფთ. . . . .	450
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		მფილ. სახზნ. ბანკისა.		აბრეშუმი ნუბური სტ.	2 -
უთი	9 13				მზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ.		ხერსონის ბანკი	83 25	ქონი, ფუთი. . . . .	650
ახ.-სენაკი	—		1 18	- 66	ბ) ქუთაისიდან:		მოსკოვის . . . . .	83 50	ქონის ხანთელი ფუთი.	8 -
სამტრედია	11 16		2 61	1 14	თფილისისა და უთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—ორშ. და პარასკ.		მქრო 1/3 იმპერიალი. . . . .	7 52	სტეარინის ხანთელი, ფ.	14 -
რიონი	12 13		3 41	1 69	წიგნის გავზენარუსეთში	კაპ.	მდესის სავაჭრო ბანკის	177 -	— ცხვრისა, ლიტრა . . . . .	180
ქვირილა	1 18	ლაშე	3 98	2 21	და სამზღვარ გარეთ;		უთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, გრადუსი . . . . .	14
სურამი	5 12	110	5 33	2 96	ლია წიგნის . . . . .	4	შავი ზღვის ცეცხ. გემებზე	527 -	შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	770
ხაშური	5 39	137	5 84	3 24	დაპეტილის (სამი მისხალი) . . . . .	8	ძაქაზის და მერკურის . . . . .	225 -	— ფხვნილი ფუთი . . . . .	650
ზორი	7 5	4 87	3 64	9			პირვ. საზღვევ. საზღ. . . . .	745 50	შავა გრვალის, გირვ. . . . .	70
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4			პეტერბ. საზღვევ. ს.ზ. . . . .	235 50	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. . . . .	12 -
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			მოსკოვის საზღვევ. საზ. . . . .	268 -	თამბაქო, საშუალო ფუთი . . . . .	760